—მინაური—

საქმეები

№ 20

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

ყოველ-კვირეული გაზეთი

კვირა, 17 ივლისი 1911 წელი

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს და მ. მ. ბლადოჩინებს გაზეთის წლიური ფასი დროზე მოგვაშველონ.

„ეროვნული საქმეებზე“ ხელს მოწერა მიიღება—კაზაკოვის შესახვევში № 17). და ობიდასში გამოქვეყნებულ სამზის ბაზარში, სიმონიანტის შუაში მაღაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, ამ. ხელის მომწერლებს ეთხოვო გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: || 1 ნახ. წლით: || 2 მანეთი. || 2 მანეთი და 10 შაური.
3 მანეთი. ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ redakcia.

შინაარსი: 1) სიტყვა ეპ. ლეონიდისა, 2) არის თუ არა პროგრესი? 3) სიტყვა დეკ. მ. ტყემალაძისა; 4) «ნუ გეშინია!» არხ. ნესტორისა; 5) აუსრულებელი ანდერძი—ხედისა; 6) წერილი ჭიათურიდან—შემთხვევით ჭიათურელისა; 7) კვირიდამ-კვირამდე; 8) გამარჯვებაც ზოგჯერ დამარცხებაა—Fanius-isa.

ეპისკოპოს ლეონიდეს სიტყვა,

თქმული საოხანის ტაძარში ანდერძის წესის შესრულების წინ.

სიკვდილი ცრემლისა და მწუხარების წყაროა და ძიზეზია; კუბო ჩვეულებრივად გულს უკლავს კაცს და შიშის ზარსა ჰგვრის მას. შაი ძაძა, უნუგეშო ოხერა-ტირილი, მოდუნება სულითა და სალოწარკვეთილების უფსკრულის პირამდე მიღწევა—ესენია ჩვეულებრივი თანამგზავრები კუბოსი და სიკვდილისა!

მაგრამ რომელიმე მოვლენის სიხშირე და ჩვეულებრივობა ამ მოვლენის ხასიათის უცვლელობისა და აუცილებლობის ბეჭედი როდია. არა, შესაძლოა, რომ ათას შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა ზოგჯერ განსაკუთრებითი ხასიათის მოვლენად გახდეს, შესაძლოა, რომ ჩვეულებრივმა მოვლენამ ათასში ერთხელ სულ ახალი, გამონაკლისის თვისება მიიღოს.

საპატრიარქოს ბიბლიოთეკა

სიკვდილსა და კუბოსაც, მიუხედავად მათი საერთოდ საჭარელი ხასიათისა, ხანდისხან ჭრულებით ეკრგებათ ხოლმე სამძიმო და კაცის გულის შემაძრწუნებელი თვისებანი. ზოგჯერ სიკვდილი კი არ გვაჩანაგებს, კი არ გვაშორებს ერთი მეორეს და არ გვაუძლურებს, არ გვაქუცმაცებს, ჯანსა და მოქმედების უნარს კი არ გვაცლის და არ გვასუსტებს, პირიქით, უფრო მკვიდრად გვაერთებს, უფრო მძლავრად გვაკავშირებს ერთი მეორესთან, უფრო ცხოველად გვაგრძნობინებს ხოლმე ერთმანეთს შორის ნათესაობას და სიახლოვეს სისხლით, ხორცით და სულითა, ერთი ეროვნების შეილობას, ერთი მეორის ძმობას და მოყვასობას. ზოგიერთი პირების გარდაცვლის გამო ცოცხლებს უორკეცდებათ ზნეობრივი ძალა და უძლიერდებათ ხოლმე შრომისა, მხნეობისა და მოქმედების უნარი.

ხანდისხან კუბო თითქოს აცისკროვნებს ხოლმე ზოგიერთა მიცვალებულებს; თითქოს მხოლოდ კუბო არღვევს ხოლმე იმ შუა კედელს, რომელიც მიცვალებულის სიცოცხლის დროს ჰფარავდა ჩვენგან მისი გონების სიდიადეს, სულის სამაღლეს და ზნეობამოქალაქობის მომხიბლავ სილამაზეს. ზოგჯერ მიცვალებულები კუბოდან უფრო მძლავრ, უძლეველ და დიდებულ მოძღვრად გამოიყურებიან ხოლმე, ვიდრე სიცოცხლეში გვეჩვენებოდნენ და ასეთ ჩვეულ გვამთა დასაფლავებას ერი უფრო დღესასწაულობს ხოლმე, ვიდრე გლოვობს.

ასეთია სწორეთ დავით ზაქარიასძის სიკვდილი და კუბო.

დავითს სწორედ სიკვდილმა ახადა ფარდა და ცხადად წარმოგვიდგინა მისი სულიერი გოლიათობა, მისი გულკეთილობის ბუმბერაზობა, მისი კაცობის დიადობა! რითია სამგლოვიარო ეს დიდებული სანახაობა, სადაც უმწეო ქვრივი და ბეჩავი ობოლი, წელში გახრილი მუშა და საცოდავი გლეხი, სახელოვანი სოვდაგარი და უბრალო მეწერიმალე ნოქართან ერთად, მოსაველე, მასწავლებელი და დიდება-მოხვეჭილი პროფესორი, მოხელე და მოქალაქე, რუსი, ქართველი, სომეხი, ოსი და მუსულმანთა ერები სულით და გულით შეკრთებულნი, თავს ველებენ ამ ბრწყინვალე კუბოს და არ იციან, ვინ ვის აჯობოს მიცვალებულისადმი პატივისცემის გამოთქმაში! კუბომ ახადა დღეს დავითის საოცარი სულიერი სიმდიდრის საკვრს თავ და ჩვენ ვერ დავმტკბარვართ ამ სიმდიდრის ცქერით!

როგორც მშვენიერი, ყველაფერით სრული და იდეალური ნაყოფი ხისა იზიდავს ყველას გულს, ისე დავითის სულიერი მშვენება ატყვევებს კავკასიის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების სულსა და გულს, მაგრამ ნაყოფი ყველაზე უძვირფასესია თითონ პატრონისათვის და დავითიც, როგორც იდეალური ნაყოფი ქართველი ერისა, შეუდარებლად ძვირფასი, საყვარელი, სასურველი და სასიქადულოა ჩვენთვის,—ქართველებისთვის,—როგორც მისი მახლობლებისა, მისი ჩამომავლობის, მისი სისხლის და ხორცის მქონებელთა, მის სულიერ თვისებათა მეტკვიდრეთათვის.

კვესი რომ ტალს მოხვდება, ნაპერწკალი გავრდება. შეუძლებელია დღეიდან, რომ დიდებული დავითის საფლავი არ გადიქცეს საქართველოს გაგებული შვილებისათვის ფოლადით ნაწრთობ კვესად და არ გამოიწვიოს ხოლმე მათშიაც დავითისებური კაცთმოყვარეობისა, სიქველისა, საქმიანობისა და გონების განვითარებისადმი მიზიდულობის ცხოველი ნაპერწკალი.

დავითისთანა კაცები არასოდეს არ კვდებიან! მაშ, უკუაგდე უსარგებლო ტირილი, და გაიხარე დავითის უკვდავებით ჯერ შენ, დავითის სასიქადულო მეუღლე და ღირსეულო ქართველო მანდილოსანო, ეკატერინე და მერე თქვენ, დავითის მახლობელო ნათესავნო, მეგობარნო, ნაცნობნო და პატივისმცემელნო. გულითადი მადლობა შევწიროთ ყველამ, ძვირფასნო მსმენელნო, მეუფესა ღმერთსა, რომ ჯერ კიდევ ჩვენი მწყალობელი ყოფილა იგი, ჯერ კიდევ საამონი ვყოფილვართ მისთვის რა-

დგ·ნ·ც გამოაჩინა ჩვენში ისეთი იშვიათი ბუ-ების კაცი, როგორიც იყო ᲓᲐᲕᲘᲗᲘ, ახლა კი სალმ ო მხიარულებით და მხურვ·ლე ლოცვა—კურთხევით გავ·ისტუმროთ ძვირფასი დავ·თი ზეციერი მამისკენ, რომელიც სიხარულით მიელ·ს მას, რადგან ღვთისაგან მიღებული ხუთი ქ·ნ·ქარი კეთილად ამოქმედა მ·ნ ·იცო-ცხლეში და ათ ქანქარად აქცია. ამინ!

არის თუ არა პროგრესი?

(იხ. № 17 „შინ· საქ.“

რამდენი დაიწერებოდა და დაწერილა კი-დეც ინდოელების და ეგვიპტელების, ასურე-ლების და სპარსელების, ფინიკიელების, ბერძ-ნების და რომაელების ცივილიზაციაზე, მათ ძლიერებაზე, მათ ბრძნულ კანონებზე და დად-გენილებებზე, არხიტეკტურაზე და მიწის და-მუშავებაზე, მათ დიდებულ ტაძრებსა და სა-სახლეებზე, მსწრაფლმავალ გალერებზე, მათ ომში გამოცდილ ფალანგებსა და ლეგიო-ნებზე, მათ ბრინჯაოს ვეებერთელა ქანდაკე-ბის ჩამოსხმის ცოდნაზე, როგორც, მაგალი-თად, ქანდაკება როდოსის კოლოსისა, რო-მელიც მთელი ქვეყნის სასწაულის სახელს ატარებს და სხ. რა ზომამდე მიახწიეს მაშინ ქსოვის ხელოვნებაში და ფერადების შედგენა-ში? შალი, რომელშიდაც მთლათ ეხვევოდა ეგვიპტელი დედაკაცი, ადვილათ შეიძლებოდა თითის ბეჭედში გაგვეტარებია, მათი ფერადე-ბი არ ხუნდებიან 400 წლის განმავლობაში, და რომ იმათ ჩვენი ფერადები ეხმარათ დიდი ხნით ადრე გახუნდებოდენ. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ იმის თქმას ვბედავთ, რომ ძველ დრო-ში არ იცოდენ ფერადების შემზადება!

არა ნაკლები ხელოვნები ყოფილან ძვე-ლები ჯავაირჩნრობაშიაც[1]), როგორც ამას გვიმ-ტკიცებს დოშურის პირამიდაში ნაპოვნი პრინ-ცესა გოტარ-სუტის განძეულობა, რომელიც (გოტარ-სუტი) ეკუთვნოდა მეთორმეტე დინა-სტიას და რომელიც, მაშასადამე, მეფობდა 4000 წლის წინეთ ამ განძეულობათა შორის იპოება შესანიშნავი ხელობის ოქროს მანიაკი თვალმარგალიტებით მორთული, წარმტაცი სილამაზის. ოქროს ლოკორტინას ხოჭოები და სხვა ამ გვარი ნივთები, რომლებიც არც ტეხ-ნიკური სსრულით, არც მხატვრულის და მშვენიერების გემოვნებით არ შეიძლება მისი განმეორება ჩვენ დროში, რომ·ლიც ასე ძლი-ერ ამპარტავნებს თავის ტეხნიკის პროგრე-სით.

დღევანდელი გამოჩენილი ფრანციელი ჯავაირჩნები მიეხედავათ ყოველი ცდისა, ვერ ახწევენ ოქროს ნივთების კეთებაში ეტრუსსკე-ბის (ხალხია) ტეხნიკურ სისრულეს, მაგ. ვერ აკეთებენ, როგორც პირველნი, ბროშკებს, რომლებიც წარმოგვიდგენენ ყვავილზე მჯდო-მარე ფუტკარს და სხ. ნაპოვნი თავის ქალე-ბი ხელოვნურათ ოქროს შტიფთიკებით ჩაყე-ნებულ კბილებით მოწმობენ მათ დიდ ცოდ-ნას კბილის ექიმობის მხარეში.

რაც შეეხება ძვირფასი ქვების თლის ცოდ-ნას ძველები ამ მხრით სწორუპოვარნი არიან, როგორც ამას მოწმობს დიდებული გეგმა „ავ-გუსტოსისა“, რომელზედაც 12 სხვა და სხვა სურათია გამოხატული სულ მცირე სივრ-ცეზე.

ფარაონების დროს ვეებერთელა გრანი-ტის ნამზღვლევებს ალმასისა და საფიროზის ხერხებით ხერხავდენ, ხოლო 3000 წლის შემ-დეგ ალმასის ბურღვებს, რომლებსაც სან-გო-ტარდის ტონნელის გასათხრელათ ხმარობდენ, ადიდებდენ, როგორც მეცნიერების ახალ გა-მარჯვებას.

აი რას მოგვითხრობს მექსიკის ცივილი-ზაციაზე მექსიკის დამპყრობის კორტეცის თა-ნამშრომელი დიაზი: „მექსიკის მფლობელების სიმდიდრე და სიუხვე, მათი ოფოფის ფრთე-ბით ნაქარგი წამოსასხმელები, ღირებული სა-თითაოთ 10,000 ოქროთ, ოქროს სერვიზები, წმინდა მხატვრული ხელობის თეკვები,—ყვე-ლა ამაებს განცვიფრებაში მოეყავდით ჩვენ,

[1]) ძვირფასი ქვების თლა.

თუმცა გვენახა სეფილია და გრენადა, ეს „ქვეყნის მარგალიტები“.

მართლა უზომო დიდი აზრის უნდა ვიყოთ თავის თავზე ან კიდევ ბრიყვები, რომ უდიერათ ეიხსენიებდეთ ამოდენ ძლიერ და დიდებულ ცივილიზაციებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დავდივართ რკინის გზით, ვეზავნით დეპეშებს, გვაქვს საკერი მაშინები და ფოტოგრაფიული ალმომები. სად არიან დღეს ეს ძლიერი სახელმწიფოები, ეს მდიდარი ცივილიზაციები? სადაც უწინ იდგა ტროსი, ეს ზღვათა მპყრობელი, იქ დღეს მხოლოდ ორი მეთევზეთა ქოხი დგას; სადაც წინეთ ნაბუქოდონოსორის სასახლეები იდგა, იქ დღეს მხოლოდ ლომები და ტურები დათარეშობენ. მესოპოტამია, სპარსეთი და მათი მეზობელი ქვეყნები დღეს უმეტეს ნაწილათ უდაბნოებათ ქცეულან. ფარაონების ქვეყანაში ცხოვრობენ ლატაკი ფელლახები თავის ნახევრად დანგრეულ მიწურებში. რას იფიქრებდენ კაცობრიობის დღეანდელ ცივილიზაციაზე ნაბუქოდონოსორი, კვიროსი, ალექსანდრე მაკედონელი, რომ მათ შეძლება ჰქონდესთ განიცადონ საცოდავი მდგომარეობა მათი ოდესლაც მობიბინე ქვეყნებისა? გერმანელები, ფრანგები, სლოვენები და ინგლისლები, რა თქმა უნდა, განათლებული ხალხები შეიქმნენ, მაგრამ 450 მილიონი ჩინელი, 180 მილიონი ინდუსი და ას მილიონზე მეტი აფრიკელი, ე. ი. მთელი ნახევარზე მეტი კაცობრიობისა დარჩენილია სრულიად პროგრესს გარეთ, ასე რომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჭკუის (სულის) ძალათა რაოდენობა, რომლითაც ღმერთმა დაჯილდოვა თავის ქმნილება ისეთსავე უცვალებელ ერთეულს წარმოადგენს, როგორსაც წარმოადგენს ის ენერგია, რომელსაც დედამიწა ღებულობს მზისაგან და რომელიც უდრის 217 მილიარდ ცხენის ძალას,—ენერგია, რომელიც ვერც მოიმატებს და ვერც მოიკლებს, მიუხედავათ იმისა, მოვიხმართ თუ არა მას გზების გასაუმჯობესებლათ თუ ქუჩების გასანათებლათ, ან სულ არ მოვიხმართ. ისტორია ამბობს, რომ იმ ხალხთა ინტელექტუალური ძალების ჯამი, რომლებიც ერთი მეორის შემდეგ უდგენ კაცობრიობის სათავეში, რჩება თითქის უცვალებელ ერთეულათ. ყოველ ეის ყოფილა ქვეყანაზე მაღალი კულტურის მქონე ერები, მაგრამ არ სოლეეს მთელი კაცობრიობა კულტურული არ ყოფილა.

——

რაც შეეხება ძველების ჭკუაგონების განვითარებას, ამ მხრითაც ისინი არ ჩამოგვრჩენიან ჩვენ. ძველი ეგვიპტელები და ქალდეველები თითქის ამაღლდენ ერთმერთობის წარმოდგენამდის. ზოგიერთ ძველ ფიცრებზე (2500 წლისწინათ ქრისტეს დაბადებამდე), რომლებიც ურაში აღმოუჩენიათ, ასეთი სახის ჰიმნს ეპო�lობთ: „ცათა შინა ვინ არს უმაღლესი? შენ მხოლო ხარ უმაღლესი. ქვეყანაზე ვინ არს უმაღლესი? შენ მხოლო ხარ უმაღლესი“.

სოლონს, პლატონს, პ-ფაგორს, პინდარს დღეანდელ ბრწყინვალე საზოგადოებაშიაც შეეძლოთ თამამათ გამოსვლა და სრულიადაც არ დაიკარგებოდენ შიგ, არამედ, წინააღმდეგ, ნაკლებ განათლებულობას ვერაინ შესწამებდა და თავის ბრწყინვალე აფორიზმებით, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე და პოეზიაზე მახვილ და საინტერესო მუსაიფთ ჩვენც ისე მოგვიყვანდენ აღტაცებაში, როგორც ოდესლაც თავის თანამედროვენი მოჰყავდათ. არისტოტელი ყოველად უშრომლათ დაიკავებდა საპატიო ადგილს ჩვენ მეცნიერთა შორის. ჰანნიბალი, რომელსაც ნაპოლეონ I ყველა დროის საუკეთესო სარდლათ სთვლიდა, დღესაც გამოიჩენდა თავის ნიჭს სამხედრო ხელოვნებაში, არხიმედიტეხნიკაში. და განა ის ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც აგვიწერა პლუტარხმა, რითამე ჩამოგვიგარდებიან ჩვენ? მათი კეთილშობილური აზროვნება, ჭკუამახვილობა, გამომეტყველების ბრწყინვალე ნიჭი, ხასიათის სიმტკიცე და სიმაგრე,—ყველა ეს თვისებები ახლაც ძვირფასნი არიან.

დიდ ისტორიკოსს ფონ-ფრანკეს ერები დიდ ოჯახებათ მიაჩნია, რომლებიც იზრდებიან, ახწევენ განსაზღვრულ კულტურას, შემ-

დეგ კვდებიან და მარხავენ თავისთან ერთათ ხანგრძლივ სულიერ შრომის შედეგებ. დ., რა თქმა უნდა, არავინ არ დაიწყებს მტკიცებას, რომ ჩვენ მემკვიდრენი გაუხდით სიქველეში ინდოელებს და ეგვიპტელებს, მშვენიერების გრძნობაში — ბერძნებს, ნების ძალაში — რომაელებს. „ცნება «პროგრესი“, ამბობს პროფ. გოლცერი, უშინაარსო ცნებაა, რადგან კულტურულათ მომწიფებული ერების ფიზიურათ ძლიერ ბარბაროსთაგან დაპყრობა ისტორიაში კანონათ გადაქცეულა.»

სულის ძალების განვითარების საზომათ მიიღება არა გამონახვათა და გამოგონებათა რიცხვი, რომელიც ჩვენ შეგვიგროვებია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და რომლის სიმძიმის ქვეშ ვკუთავთ და სულს ვლაფავთ, არამედ ჭკუის ნიჭი ცნობილ ფაქტთა და მოვლენათა კანონიერ დაფასებაში. ასე, მაგალ., ნიუტონმა სულ უბრალო ყოველდღიური მოვლენის, ხიდან ვაშლის ჩამოვარდნის, მზერით შეიძლო „მიმზიდველობის კანონის“ გამოყვანა, სხვა ნაირათ—ასეთ უბრალო ფაქტიდან უფრო დიდი ფაქტი, უფრო დიდი მოვლენა გამონახა, ვიდრე ათასმა დღევანდელმა მსწავლულებმა ბუნების ყველა მოვლენების დაკვირვებისაგან.

და ეს ჭკუის ნიჭი სრულებით არ გაზრდილა, რადგან ენა—ეს უჭეშმარიტესი მაჩვენებელი სულიერი ძალებისა—სრულებით არ განვითარებულა: სანსკრიტული, ბერძნული და ლათინური ენები თავის ფორმების სისრულით და ძირების სიმდიდრით დღემდის სრულ ენებათ ირიცხებიან, ხორო ენის გაფუჭება ძველ საშიში არგუმენტია კაცობრიობის პროგრესსის მოტრფიალე თეორიებისა. ჩვენ ვმუსაიფობთ არა უმეტეს პოეტურათ, ვიდრე ფიდოსი, არა უმეტეს დრამატიულათ, ვიდრე ედიპი, ვერ ვმეტყველებთ უფრო მოკლეთ და ზედგამოჭრით, ვიდრე ლაკედემონელები და არ შეგვიძლია ისეთი წიგნების დაწერა, როგორიცაა წიგნი ქება ქებათა სოლომონისა, ფსალმუნი დავითისა და წიგნი იობისა. ეს სულიერი სიდიადე ძველებისა საუკეთესოთ კიდევ იმითი მტკიცდება, რომ დღესაც სრულ განათლებულებს მათ ვეძახით, ვინც საუკეთესო წლები თავის სიცოცხლისა დახარჯა წმიდა ბიბლიისა, ბერძნული და ლათინური ენებისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და ფილოსოფიის შესწავლისათვის. ძლივს თუ მოიძებნებ ისეთი მოაზრე ადამიანები, რომლებიც დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ჩვენ მეტი უფლება გვაქვს კულტურულნებათ ვიწოდებოდეთ, ვიდრე ძველი ხალხები. უფრო მეტი ავტორიტეტის მექონი მსწავლულნი და მკვლევარნი ფიქრობენ, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით ჩვენ სრულებითაც ვერ დაუახლოვდით ყოფნის პრობლემებს და ისეთივე უმწეონი ვართ მსოფლიო ამოცანების წინაშე, როგორც ძველნი მოაზრენი და ფილოსოფოსნი.

ცნობილი ვარსკვლავთ მრიცხველი პროკროტი თავის წიგნის დასასრულში ასე ამბობს:» ყველა ამის შემდეგ განა გვაქვს რაიმე საფუძველი იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენ უფრო სრულათ გამოვიკვლიეთ მსოფლიო, ვიდრე ძველმა ვარსკვლავთ მრიცხველებმა? ჩვენ ვიცით ბევრი, რაც მათ არ იცოდენ, ჩვენ გავიგეთ ბევრი რამ, რაც მათთვის გაუგებარი იყო, მაგრამ ვარსკვლაოსანი ცა იმ სახით, როგორც ახლა ჩვენ მას ვხედავთ, უფრო მეტ საიდუმლოებას წარმოადგენს ჩვენთვის, ვიდრე ძველი დროის ვარსკვლავთმრიცხველთათვის“.

საკითხის წინაშე—რა არის მატერია, ჩვენც იმნაირი უმწეონი ვდგევართ, როგორც ძველი ფილოსოფოსები. ეპისკურის დროიდგან, რომლისათვისაც უკვე ცნობილი იყო ცნება მატერიაზე და ძალაზე, შინაგანი არსება მატერიალურ ქვეყნიერებისა სრულებით არ გამორკვეულა და გასაგები არ გამხდარა ჩვენთვის.

(შემდეგი იქნება).

სიტყვა

დავით ზაქარიასძის სარაჯიშვილის დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიონის საკრებულო ტაძარში.

> ნეტარ არს მდიდარი, რომელმან პოვა უნაბრძვილოდ და რომელი უკანა ოქროსა არა ვიდოდა. (ისო ზირაქი 31, 8).

ღმერთმა მცნებათ დადვა ადამიანს, რომ მან ოფლითა თვისითა სჭამოს პური. „ოფლითა პირისა შენისათა შჭამდე პურსა შენსა" (ბექ. 3, 19). ბედნიერია ის კაცი, ვინც ამ მცნებას კეთილ-სვინდისიერათ ასრულებს. ყოველ ჟამ კურთხევა უფლისა არს მასზედა. მის ნაშრომს ღმერთი არასოდეს არ დასტოვებს უნაყოფოთ, ყოველთვის ექნება მას საზრდო. „მოქმედი ქვეყანისა თვისისა განძღეს პურითა", ამბობს სოლომონ ბრძენი (იგ. 12, 11). თვითონაც გაძღება, უკლებლათ ექნება საზრდო და იმოდენიც გადარჩება, რომ სხვებსაც განუზიაროს.

ხოლო საჭიროა ადამიანს ჰქონდეს, გარდა შრომის უნარისა, კიდევ სხვა თვისება სულისა, რომელიც მას მაღლა აყენებს და საუკუნოდ ხდის უკვდავად. ეს არის კაცთმოყვარეობა, გულშემატკივრობა, სიბრალული. ვინც ამ გრძნობას მოკლებულია, უმჯობესია მას არ გარდაემატოს ქონება, თორემ იგი გახდება მსხვერპლათ მოპოებული სიმდიდრისა. უკანასკნელი მას დაღუპავს, გაუხთება კერპათ და თვითონ შეიქნება მის ყურმოჭრილ ყმათ. ამისათვის გვაფრთხილებს მაცხოვარი: არ დავემონოთ სიმდიდრეს, არამედ იგი მოვიხმაროთ კეთილ საქმეებზე (მათ. 19, 23). კეთილმოქმედება კი შესძენს ადამიანს დიდებასაც და მშვიდობასაც. „დიდება და პატივი და მშვიდობა ყოველსა მოქმედსა კეთილისასა". ამბობს პავლე მოციქული (რომ. 2, 10).

როდესაც ღმერთი გვაძლევს ჩვენ იმაზე მეტს, რაც ჩვენთვის საჭიროა, ეს იმის ნიშანია, რომ მომეტებული სხვას უნდა მივსცეთ, ის ჩვენ არ გვეკუთვნის, სხვებისათვის არის დანიშნული, განმზადებული, სახელდობრ იმათთვის, ვინც სხვა და სხვა გარემოებათაგან, გარდა სიზარმაცისა, ჩავარდნილნი არიან სიღარიბეში. ზარმაცნი ღირსნი არ არიან შემწეობისა; ამას საღმრთო წერილი გარკვევით გვეუბნება: „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმისა, ნუცა ჰსჭამონ" (2 თესლ. 3, 10). სხვებს კი, კერძო პირთა, გინდ საზოგადოებათა მოვალენი ვართ გაჭირვების დროს ხელი გავუმართოთ, მივაწოდოთ, რაც კი რამ შესაძლოა ჩვენი მხრივ. შეძლებულს ეუბნება დავით მეფე: შენდა დაშთომილ არს გლახაკი, ობოლსა შენ ეყავნ მწე (ფს. 9, 35). და თუ არ მოისურვებს ვინმე ამ მოვალეობის ასრულებას, იგი ხდება პასუხის მგებელათ ღვთის წინაშე, როგორც მისი მოწინააღმდეგე, კაცთა წინაშე კი, როგორც მიმთვისებელი მათი კერძისა, კუთვნილებისა. უკეთ რომ ვსთქვათ, სიმდიდრე ჩვენი ღვთისაა „სიმდიდრე ჩემი არს", ამბობს თვით უფალი (იგ. 8, 18). იგი არს პატრონი, ჩვენ მხოლოდ გამგებელნი, და როგორც გამგებელნი უნდა ვასრულებდეთ ჩვენი მეუფის ნებას; „განყიდენით მონაგებნი თქვენნი და მიეცით ქველის საქმე" (ლუკ. 12, 33).

ყველა ზემო აღნიშნულნი მცნებანი პირნათლად და თითქმის ზედმიწევნით შეასრულა განსვენებულმა დავით ზაქარიასძემ. სიყრმიდგანვე იწყო მან შრომა. თვისი დაუცხრომელი მეცადინეობით მან შეიძინა ევროპიული ცოდნა—განათლება. სწავლის დამთავრების შემდეგ, გატაცებული სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარულითა, გამოეშურა საქართველოსკენ და მხნეთ შეუდგა მრეწველობის აღორძინებას ჩვენ ქვეყანაში. დიდძალმა მუშამ მოიყარა მასთან თავი და მისი ბრძნული ხელმძღვანელობას ქვეშ მუყაითად მოეკიდნენ ამ დიდათ სასარგებლო საქმეს. იგი მათთვის იყო მასწავლებელი და ხელმძღვანელი და მასთან მეგობარი და მამა, რითაც დაიმსახურა მათი გულწრფელი სიყვარული. ასეთი მხნე,

უანგარო, უმწიკვლო მუშაკი დიდათ დააჯილდოვა ღმერთმა, მისი საქმე კარგათ წაიყვანა, შესძინა მას სიმდიდრე და მოუხვეჭა სახელი და დიდება.

მაგრამ განსვენებული სახელისათვის და დიდებისათვისკი არ შრომობდა; უმთავრესი მისი სულის კვათება იყო კაცთმოყვარეობა, და ამ გრძნობამ ნება არ მისცა მას ყოველივე თვისი მონაგები მარტო თავისთავზე. მოეხმარა პირიქით, იმოდონი თავისთაკზე მას არ დაუხარჯნია, რამოდონიც სხვებზე. ვინ ჩამოთვლის, რამოდონი შემწეობა აღმოუჩენია განსვენებულს დავით ზაქარისძეს სხვა და სხვა დაწესებულებათათვის, რამოდონა ახალგაზრდობას შიუღია განათლება მისი შემწეობით როგორც საშუალო, ისე მაღალ სასწავლებლებში, რამოდონა ქვრივობოლს უსაზრდოვნია თავი მისი სიქველით? განურჩევლად ეროვნებისა ყველანი მასთან გაობოდნენ, ყველანი ხელს უწვდიდნენ და დახმარებას სთხოვდნენ, და ისიც მზათ იყო შეძლებისა და გვარად ყველანი დაეკმაყოფილებია. თვისი ქველმოქმედებით მან დაიმსახურა პატივი და დიდება მთელ კავკასიის ერთა შორის და ამისათვის ყველანი გულწრფელად გლოვობენ დღეს მის დაკარგვას; ნამეტურ კი ქართველი ერი, რომლის სიმშვენიერეს ის შეადგენდა, ვითარცა აბრაამ, იაკობ, იოსებ და მეფე დავითი ებრაელებისას; მათსავით, სიმდიდრესთან ერთად მას ჰქონდა: მართლმორწმუნეობა, სასოება, კაცთმოყვარეობა და სიმშვიდე. და აი ამნაირ ადამიანს ვესალმებით დღეს ჩვენ უკანასკნელად.

მშვიდობით დავით ზაქარიასძეო! მშვიდობით. ბევრი რამ უსიამოვნება მოგვიყენებია შენთვის, მაგრამ მოგვიტევე დანაშაულება. თავი გქონდა ჩვენგან მობეზრებული წამ და უწუმ ხვეწნით და ვედრებითა: „მოგვეც დავით, მოგვეც შეგვწიე!“ შენც არ იშურებდი მოცემას, შეშწეობას, რაც კი შეგეძლო, გვაძლევდი; მაგრამ ჩვენი გული მაინც ვერ შეაჯერა შენმა ქველმოქმედებამ და შენ კეთილი გული გტკივოდა, ხედავდი რა, რომ არ შეგეძლო ჩვენი დაკმაყოფილება. სურვილი ყველას დახმარებისა მეტად ძლიერი იყო შენში, მაგრამ ამ სურვილს ვერ დააკმაყოფილებდა, რაცა გქონდა ის კი არა, იმაზე ერთი ათასად მეტიც რომ გქონოდა. ან რა დაგვაკმაყოფილებს ჩვენ ქართველებს, ქონებრივ დაქვითებულებს, თუნდაც შენისთანა ქველმოქმედნი ათასი კიდევ სხვანი გვყავდენ. მაგრამ რას ვამბობ! არამც თუ ათასი, შენისთანა ჩვენ აღარავინ დაგვრჩენია; ჩვენ მეორე დავითი არა გვყავს და შეიძლება ღიდხანსაც არ გამოგვიჩნდეს, და აი ეს არის ჩვენი სამწუხარო და სატირალი მშვიდობით, ჩვენო გულუხეო ქველმოქმედო, ნამდვილო ქართველო ადამიანო, მშვიდობით! საუკუნოთ იყოს ხსენება შენი. ამინ.

დეკანოზი მარკოზ ტუმანაძე.

1911 წ. ივნისის 26.

„ნუ გეშინია!..“

(რუსულიდან).

(დასასრული. *)

მამაო! რის გულისათვის ვიტანჯებოდი მე ასე დიდხანს, ვწვალობდი, გამოვსცადე ყოველი მხარე ცხოვრებისა მის მომაცდუნებელ, მოალერსე სიმაღლიდან დაწყებული ბნელ დამღუპველ უფსკრულამდე?

რის გულისთვის მე არა ერთხელ შეწუხებულ გულის აუტანელ ტკივილის გამო მზათ ვიყავ ჩემი თავი კლდისთვის მეხეთქებია და განმეტევინა, ამომეგლიჯა ჩემი საკუთარი გული და ჩამხრჩვალ ვიყავ შავ-ბნელ წყლის უფსკრულში?

ჩემო მამაო! მითხარ მე, რა დანიშნულებას ხედავ, რა აზრს, რა მიზანს ყოველივე მასში, რაც ცხოვრებაში გამომივლია?

შვილო ჩემო! შენში, როგორც ყოველ კაცში მომდინარეობდა და მომდინარეობს დიდი წყალი დიდი წყაროისა, შენ, როგორც

*) იხ. „შინ. საქ.“ № 19.

ყოველი კაცი, ბუნებითად ხარ გაგრძელება ღვთისა ცხოველისა, მაგრამ კაცის უმეცრება კაცის ამპარტავნობა, სიბნელე შეეცადნენ ღორღით აევსოთ შენი ბუნებითი სასვლელი გზა.

და რავდენთაც უფრო გშრეტდენ შენ (ღვთის წყაროს) მით უფრო მძიმე იყო, მით უფრო საწამებელი იყო, მით უფრო ძნელი იყო ჩვენთვის შენი გზის გამკვლევა.

იყვნენ ისეთი წუთნი, როცა, სჩანდა, რომ ეს-ეს იყო გათავდა შენი გზა—საკმაოა. უკანასკნელი წვეთი... შეიშრობს ამ წვეთს ქვიშა, და მდინარეს ბოლო მოეღება. ახ, თვით ეს წვეთი ხომ—ღვთის წვეთია.

შეხედე გამოგორდა მეორე ადგილას და მიდის, მიდის, მიდის...

მაგრამ ნუ სწუხხარ, შვილო ჩემო, არაფერად გიხაროდენ.

შენ ამ წვალებით გამოიყიდე წვალება შენიანთ იმ ქვეყანას გადაცვლილის სულების, მშობლებისა.

შენ გამოისყიდე მათი ცოდვები.

გახსოვდეს, ისინი ხილული ცხოვრების განვლის შემდგომ, მიხვდნენ თავიანთ შეცდომის საშინელებას, მაგრამ ღონე აღარ შესწევდათ გაესწორებიათ თავიანთი შეცდომა. და თუ რომ შენ შენი ენერგიით, კეთილი მოხუცის ლოცვით, რომელმანც (მოხუცმა) გამცინო შენ გზა ჭეშმარიტებისა, არ გადაგეყარა შენი გზიდგან ის ქვები, რომლითაც მათ, რასაკვირველია, არა განზრახ უნდოდათ გადაეღობათ გზა შენში მყოფ ღვთის წვეთისათვის, მათი გამოხსნის მისაგებელი ოხ რა მძიმე იქნებოდა, ახლა კი შენ განათავისუფლე ისინი...

— მე კი არ განმითავისუფლებია,—ტირილით წამოიძახა მგზავრმა, არამედ ქრისტემ, რომელმანც მე მომიყვანა შენთან.

მამაო, მიმიყვანე მე ქრისტესთან.

—

განკურნებულმა მოხუცმა მახლობელ წყაროში მონათლა მეორე მოხუცი.

დიდათ საგულისხმიერო იყო ცის ქვეშეთ ეს სურათი, სურათი ისეთი კაცის მოქცევისა, რომელსაც მხოლოდ თავის თავი სწამდა, თვისი ძლიერება, თვისი ამპარტავნობა.

ორი დღის შემდგომ ისინი მივიდნენ იმ ადგილს, სადაც ახლად მოქცეულს წინაზედ უნდოდა მოსპობა თავის სიცოცხლისა. მივიდნენ და გაკვირდნენ.

იმ ადგილზე გაეშენებიათ დიდი სავანე.

მგზავრებმა გამოკითხეს მონასტრის ძმებს იმ მოხუცზე, რომელმანც ოდესღაც გადაარჩინა სიკვდილს ცხოვრებით გზა დაბნეული ჭაბუკი და კითხვა-კითხვით გაიგეს, რომ მან დიდი ხანია მიაბარა სული თვისი ღმერთს და მიანდო ერთ მოხუც ძმათაგანს, თუ რომ მას მოიკითხავს ოდესმე კაცი, რომელსაც ამ ნაპირზე უნდოდა თავის სიცოცხლის მოსპობა, გადაეცა მისთვის აი ეს ხელთნაწერი. ღელვისაგან ათრთოლებულ სულით მოხუცმა მგზავრმა გაშალა ხელნაწერი, დაიწერა პირჯვარი, დაიჩოქა და ხმამაღლა წაიკითხა: «შვილო ჩემო, მე ვიცი, რომ შენ მოხვალ. მაგრამ მარტო კი არ მოხვალ, არამედ ქრისტესთან ერთად და ქრისტეს მიერ. ეხლა შენ ყველაფერი გაიგე. ეხლა შენ შეიქმენი დიდ წყაროდ ღვთისა ცხოველისა.

აიღე ხელში სახარება ქრისტესი, რომელმანც მოგიწოდა შენ და ეპისტოლენი მისი მოციქულებისა. იგი იმათში თორმეტჯერ იმეორებს სიტყვას «ნუ გეშინია». წადი სოფლად; წადი ავათმყოფებთან, უბედურებისაგან ტანჯულ კაცებთან და ყველგან და ყველასთან განიმეორე მისი დიდებული სიტყვა: „ნუ გეშინია, მხოლოდ გრწამდეს“.

და შენც ბევრს იხსნი აუცილებელ დაღუპვისაგან.

ბევრს შეეწევი შეიქმნას ბუნებითი წყაროდ საუკუნო ღვთისა ცხოველისა, ბევრს მისცემ შეძლებას გამოისყიდოს თავის წინაპართა ცოდვები.

„წადი და ნუ გეშინია“...

მოხუცი ემთხვია ძვირფას სტრიქონებს. გამოეთხოვა თავის შემთხვევითი მოძღვარს და

მა-წავლებელს, რომელმანც, როგორც ატმოჩნდა, მთელი სიცოცხლე შესწირა მაცხოვრის სამსახურს ქადაგებით და მომეტებულათ ევედრებოდა უფალს, რომ მისი წყარო გადაეყვანა სხვა უფრო განახლებულ კალაპოტში: ის დარჩა სავანეში; ხოლო მისგან მოქცეული ხნით მოხუცი, მაგრამ მის მიერ მიღებულ ქრისტეს სარწმუნოებაში ახალგაზდა და მხნე, წავიდა სოფლად, რათა თამამად და ხნედ უთხრას სულით უძლურებს:

«ნურაფრის ნუ გეშინია, იყავ მორწმუნე სიკვდილამდი და მოგცე შენ გვირგვინი ცხოვრებისა».

არხიმანდრიტი ნესტორ.

(შემდეგი იქნება).

წერილი ჭიათურიდან.

გაზეთის „შინაური საქმეების“ 11 ნომერში წავიკითხეთ მღ. ბესარიონ ვაშაძის ღია წერილი, რომელშიაც მოყვანილი იყო სხვა და სხვა ფაქტები შესახებ მღ. გერვასი ბარათაშვილის საძრახ მოქმედებისა! ჩვენ ვუცდიდით და სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ, უკეთუ ხსენებული ფაქტები ეშმარიტებას მოკლებულნი იყვნენ, მღ. ბარათაშვილი იმავე გაზეთის საშუალებით აგებდა პასუხს და იმართლებდა თავს მკითხველ საზოგადოების წინაშე. იმავე გაზეთის 13 ნომერში წავიკითხეთ მღ. ბარათაშვილის წერილიც, ვითომც პასუხი ზემოაღნიშნული ღია წერილისა. ვერ დავფარავთ, მეტათ გაგვაკვირვა ამ წერილმა. მის მაგივრათ, რომ მღ. ბარათაშვილს თავი ემართლებია და სათითაოდ აეხსნა უსაფუძვლობა ყოველ ხსენებულ ღია წერილში მოყვანილ ფაქტებისა, ის ამ ფაქტებს სრულებით გვერდს უვლის და არაფერს ამბობს, იმ მიზეზით ვითომ, რადგან მღ. ვაშაძე თავის ღია წერილის დასასრულში, თანა მოძმე სამღვდელოებას მიმართავს და სთხოვს, წარმოსთქვას თავის აზრი. შემდეგ განაგრძობს: „მე მზათა ვარ ამ ერმოთვე მისი სიკრუეე საზოგადოებას დაეუმტკიცო, მაგრამ მე ჯერჯერობით პასუხს არ გავსცემ მას,“ რადგან ამ საგანზედ ვითომ მედიატორული განჩინება დადგებაო და იქიდგან სცნობს საზოგადოება ვინ არის ჩვენს შორის მართალი და ვინ მტყუანი. ამგვარი მღ. ბარათაშვილის შეხედულება საქმეზედ, ჩვენის აზრით, შეცდომა არის რადგან როგორც ხსენებული ღია წერილის სათაურიდან სჩანს, მღ. ვაშაძე პირდაპირ მას მიმართავს; „მამაო გერვასიო“ და არა თანამოძმე სამღვდელოებას! ეს ყველასათვის ცხადია მართლაც, როგორც „ანბანური“ ეშმარიტება. და ის გარემოება, რომ ღია წერილის, დასასრულში მღ. ვაშაძე მიმართავს სამღვდელოებას, წარმოსთქვას თავისი აზრი, სრულებით არ ნიშნავს მას, რომ სანამდის მღ. ბარათაშვილი პასუხს გასცემდეს მის ღია წერილზედ, მანამდე სთხოვდეს ის სამღვდელოებას, წარმოსთქვას თავისი აზრი! იმავე გაზეთის 16 ნომერშიდ დასტამბული მედიატორების განაჩენიც წავიკითხეთ, რომელიც სრულებით არ ამართლებს მღ. ბარათაშვილის დაპირებას და საქმის გარემოებას არაგითარ ნათელს არ ფენს. მედიატორები: აზ. დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე, ბლაღოჩინი იოსებ წერეთელი და მღვდელი იოაკიმე მოდებაძე ცნობილნი და პატივცემულნი პირნი არიან საზოგადოებაში და ვფიქრობთ მათ სურდათ, რომ არცერთ მოწინააღმდეგე მხარესათვის საზოგადოების თვალში ბრალი არ დაედვათ. ე. ი. «არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური!» ეს დიახ ძლიერ კარგი და მოსაწონია ბატ. მედიატორების მხრით, მაგრამ არ შეგვიძლია დავფაროთ, რომ ამ შემთხვევაში ამ გვარ მათ ლმობიერებას არ უნდა ქონოდა ადგილი და უთუოდ საქმის გარემოებას ნათელი უნდა მოფენოდა და ბეჯითად უნდა გამოკვლეულიყო, ვინ არის დამნაშავე და ვინ მიცა პირველი მიზეზი ერთმანეთში უსიამოვნების ჩამოვარდნის, მღ. ვაშაძემ თუ მღ. ბარათაშვილმა?! ეს მიუცილებელი იყო, რადგან მღ. ვაშაძის ღია წერილს მთელმა მკითხველმა საზოგადოებამ უურადღება მიაქცია. მით უმეტეს იყო კიდევ ეს სამეინო, რომ თვით მღ. ბარათაშვილი პირდე-

ბოდა საზოგადოებას, თავის წერილში: «ყოველივე საქმის სინამდვილეს, თუ ვინ არის ჩვენ შორის მართალი და ვინ მტყუანი, მედიატორეების განაჩენიდან სცნობს საზოგადოება.» რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, მედიატორეების განაჩენმა ვერ გაამართლა მღ. ბარათაშვილის დაპირება და იმედი, ამისათვის მოველით, რომ ის თავს იმართლებს და თანახმად მისი წერილისა, მისცემს პასუხს მღ. ვაშაძეს და მისი ღია წერილის „სიცრუვეს“ დაუმტკიცებს მკითხველ საზოგადოებას და არ მოგვცემს მიზეზს ვსთქვათ: «სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო!» შემოხვევით ჭაითურელი.

1911 წ. 2-ს ივლისს.

აუსრულებელი ანდერძი.

1899 წელს ივნისის 10 რიცხვს ქუთაისის ოდქის სასამართლომ დასმტკიცა განსვენებულ ბერძნის ვასილოდ კონდოპულოს ანდერძი, რომლის ძალით მთელი მისი უძრავი ქონება, მისგანვე 10,000 მანეთად დაფასებული. გადავიდა ქალაქ ქუთაისის კამგეობის ხელში იმ პირობით, რომ კამგეობას მამულის შემოსავლიდან ეოგელ წლივ ათასი მანეთი გაეღო სხვა და სხვა დაწესებულებებისათვის, რომელიც აღნუსხულია ანდერძში და სხვათა შორის ქუთაისის წმ. გიორგის საეკლესიო სკოლისათვის ეოგელ წლივ 200 მანეთი ეძლია.

მას შემდეგ ჯერ ოთხმეტი წელიწადი გადის და ქალაქს სხვა და სხვა დროს 1900 წლიდან დაწყებული გადაა ხსენებული სკოლისათვის 781 მანეთი, ანგარიშით კი 2400 მანეთი უნდა მიეცა. აქედან სჩანს, რომ სკოლას სვედრი ფულიდან არ მიუღია 1619 მანეთი.

ნუ დავიიწყებთ, რომ კამგეობა ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში აარსებს სკოლებს და ინახავს თავის ხარჯით, ხოლო იმ მხარეში. სადაც ეს ხსენებული წმ. გიორგის სკოლა არსებობს, ამ სკოლის მეტი არავერი სკოლა არ არის და არც უფიქრია ქალაქს მისი დაარსება. არც გორელებს აღუძრავს საკითხი სკოლის დაარსებაზე და არც უთხოვია ქალაქისთვის სკოლის დაარსება, ეგონებიდ, იმიტომ რომ აქ უკვე არსებობდა ერთა სკოლა, რომელიც აკმაყოფილებდა მსურველთა მოთხოვნილებას.

კანონიერი იქნებოდა, ქალაქს ამ სკოლისთვის დახმარება აღმოეჩინა თავის საშუალებიდან, მიეღო იგი თავის მფარველობის ქვეშ და ამით ქალაქის ერთი საუკეთესო, მაგრამ დარიბი კუთხის სულიერი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია. მაგრამ ქალაქის კამგეობა, როგორც სჩანს, ასე არ მოქცეულა, მას ისიც არ დაუნებებია სკოლისთვის, რაც კანონით მისი იყო და ქალაქის ჯიბიდან არ ამოდიოდა, ე. ი. წაურთმევია სკოლისთვის ის, რაც იურიდიულად და ზნეობრივად მას ეკუთვნოდა.

ამ საკანზე მისმა მეუფებამ, იმერეთის ეპისკოპოსმა, შუამდგომლობა აღძრა ქალაქის კამგეობის წინაშე, რომ დანაკლისი ფული მიეცათ სკოლისათვის, მაგრამ როგორც კვიგეთ კამგეობამ უარით უპასუხა და თან დასძინა, რომ 3905 მანეთიდგან, რომელიც კონდოპულოს ნაანდერძევ მამულს შემოუტანია ქალაქისთვის 1910 წლამდის, წმ. გიორგის სკოლამ შედარებით მეტი მიიღო სხვა კრედიტორებზე 244 მანეთით და 18 შაურითო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ კონდოპულოს მამულს წელიწადში 1000 მანეთი წმინდა შემოსავალი არ შემოჰქონდეს. ჯერ მარტო ზემო სართული, სადაც დღეს ქალაქის საავთმყოფოა მოთავსებული, შემოიტანს ამაზე არა ნაკლებს, ხოლო რაც შეეხება დუქნებს, რომლებიც ჯერ არ კამცდარან, ესენი ხომ ერთიორთ მეტს შემოიტანენ. მაშ რა არის იაზესი, რომ შეოლას სხვის ნაჩუქარ ფულს უკაბეზენ? იმედი გვაქვს ქალაქის კამგეობა პასუხს გაგვცემს.

ხელი

ეკვირიდან-ეკვირამდე.

ეს ნომერი დაგვიანებულათ გამოდის, რადგან გაზეთს ბეჭდვა სტამბის მიზეზის გამო ზე. სტეფონში გადავიტანეთ.

—

ყოველად სამღვდელო გიორგი ორი თვით საგარაკოთ წაბრძანდა ბორჯომს.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: ჭლექის მკვლევარმა სამეფო კომისიამ გამოაქვეყნა შედეგი თავის ათი წლის მუშაობისა. თანახმად კომისიის გამოკვლევისა ადამიანის ჭლექის ბაცილები პრაქტიკულათ არაფრით არ ვანირჩევიან ოქიან ცხოველების ბაცილებიდამ. ორივ მკვებავ ცხოველებს და ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს გადასდონ ჭლექით

ავათმყოფობა. ცხოველის ჭლექის ბაცილები ადვილათ შეიძლება გადვიდეს კაცზე რძის საშუალებით; ეს უკანასკნელი გარემოება ხდება უმთავრეს მიზეზათ ბავშვების ჭლექით ავათმყოფობისა. მზგავსადვე ავათმყოფ ძროხისა და ღორის ხორცი თავის მხრით არის ამ გადამდებ სენის გავრცელების მიზეზი. კამისია ბეჯითათ ითხოვს სანოვაგეზე ზედამხედველობის გაძლიერებას.

უფ. ჩერტკოვი, გრაფ ლეონ ტოლსტოის სულის ვიქილი, დაჟინებით თხოულობს მის (ტოლსტოის) ხელნაწერებს, რომ ამოგლიჯოს და მოსპოს მათში ზოგიერთი ფურცლები. რა შინაარსისა არიან ეს ფურცლები და რათ სურს ბ. ჩერტკოვს, რომ იგინი საიდუმლოებათ დარჩენ, არავინ იცის. ჩერტკოვის მიმართულება რომ გაგვიგონია, სწორეთ ეკვის თვალით უყურებთ მის საქციელს. ალბათ არ უნდა, რომ გრაფი იმას ლაპარაკობდეს, რაც მას, ჩერტკოვს, არ იამება. მაგრამ გვიკვირს, რათ ანგარიშს არ უწევს ბ. ჩესტკოვი იმ გარემოებას, რომ ტოლსტოის ნაწერებს, დღეს დღეობით მაინც, საზოგადო, საკაცობრიო ინტერესი აქვს და მათში კერძო ხელისა და ჭკუის ფათური ზედმეტია და მიუტევებელი ცოდვაც. ჩვენ გვწყურია დავინახოთ გრაფი თავის ჯამში, გრაფი თავისუფალი ყოველივე ჩერტკოვების ზეგავლენისაგან და ასეთი კი იგი მხოლოდ თავის უკანასკნელ ხელნაწერებში იქნება ჩვენი აზრით. იმედია ჩერტკოვს ნებას არ მისცემენ განახორციელოს თავის ბარბაროსული სურვილი.

ამას წინეთ აღდგომის წინა კვირაში ქ. კიევში დაიკარგა 12—13 წლის ყმაწვილი იუშიცკი. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი იპოვეს მკვდარი ერთ ერთ გამოქვაბულში. რადგან იუშიცკის სხეული ნაჩხვლეტ-ნაწამები აღმოჩნდა, ამიტომ მისი მოკვლა სისხლით სარგებლობის მიზნით ურიებს დააბრალეს და ამ ნიადაგზე კინაღამ „პოგრომი“ მოახდინეს. ღღეს საქმემ სულ სხვა მიმართულება მიიღო. აღმოჩნდა, რომ იუშიცკის სახელზე მამას ხაზინაში ფული შეუტანია, რომლის მიღებას რამოდენიმეჯერ სცდილა თურმე უკანასკნელის (ყრმის იუშიცკის) მამინაცვალი და ვერ მოუხერხებია. ყმაწვილის სიკვდილის შემდეგ იუშიცკის მამინაცვალს, პრიხოდკოს, ფული მაშინვე აუღია. გამომძიებელს ეკვი მიუტანია პრიხოდკოზედ დაუპატიმრებია; დაუპატიმრებია აგრეთვე მისი ძმა და ორი ბიძაბავშვისა და კიდევ ერთი ქალი. პრიხოდკო და ერთი ბიძა ბავშვისა—ნეკინსკი თურმე ჭეშმარიტ რუსთა კავშირს ეკუთვნიან.

ალგირში გადასახლებულ 142 კომლ რაჭველებს თხოვნა მიურთევიათ იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისთვის, შემწეობა აღმოუჩინეთ, რადგან ახალი გადმოსახლებულები მეტ ნივთიერ სიეწროესთან მოკლებული ვართ განმანათლებელ დაწესებულებებს ეკლესიას და შკოლასო. ყ-დ სამღვდელო გიორგის ცირკულიარით მიუმართავს ბლაღოჩინებისათვის სამღვდელოებაში შეწირულების შესაგროებლათ. შეწირულება უნდა გამოიგზავნოს მისი მეუფების სახელზე პირდაპირ და არა დეპოზიტით.

ურიგო არ იქნება მღვდლები თავის სამრევლოებში აღძრავდეს ამ საქმისთვის კერძო ქველმოქმედებს, რომლებიც თითო-ოროლა ყოველთვის მოიძებნება სამრევლოში. კარგი აგრეთვე იქნება წერა-კითხვის საზოგადოება გაუხსნიდეს მათ ქართველ შკოლას.

პოლონეთის სახალხო დემოკრატიულ პარტია, როგორც გადმოგვცემს გაზ. „Россія“ იმ დასკვნამდის მივიდა, რომ რუსის შკ-ლის ბოიკოტი პოლონელების მხრით ჯერ ისევ პოლონელებს ვნებს. პროვინციალურ აქიმების კრებამ ქ. ლოძაში, სხვათა შორის, დადასტურა, რომ ამ ბოლო ხანებში პოლონელ ექიმების რიცხვი პროვინციებში ძრიელ შემცირდა და მის მაგიერ ებრაელი აქიმები გამ-

რავლდნენ, და შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა:

1) მიუხედავათ იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლები პოლონეთში არ აკმაყოფილებენ პოლონეთის ხალხის მოთხოვნილებას (განსაკუთრებით უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი), ხოლო მეცნიერული მხრით იგინი დაბლა დგანან, რაც იძულებულ ჰყოფს პოლონელ ახალგაზდობას ისწავლოს შუაგულ რუსეთის სასწავლებლებში და საზღვარგარეთ, არ უნდა დაეშალოს პოლონელ ახალგაზდობას ვარშავის უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმში შესვლა, რადგან ეს უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მათი რუსეთში წასვლა.

2) პოლონელი საშუალო კერძო სასწავლებლები შესაფერ სიმაღლეზე დგანან. ამიტომ ურჩევთ ყველას ჯერ პოლონური საშვალო შკოლა დაამთავრონ და შემდეგ იზრუნონ სიმწიფის მოწმობის ასაღებათ. მართებლობის გიმნაზიებში.

3) დევნა და ბოიკოტი ადგილობრივ შკოლებში მოსწავლეებისა პარტიას მავნებელათ მიაჩნია და ასეთ მოქმედებას შეუწყნარებლათ რაცხავს.

4) კრება სთხოვს პოლონელ დეპუტატებს იზრუნონ პოლონელ მაღალ სასწავლებლების მეცნიერულ მნიშვნელობის ამაღლებაზე და პოლიტიკის განდევნაზე იქიდგან; კერძოთ იმაზე, რომ მართებლობამ მოხსნას თავის ბოიკოტი პოლონურ მეცნიერების წინააღმდეგ, მისცეს პოლონელ საშუალო სასწავლებლებს უფლებები და დაიფაროს იგი მართებლობის დეზორგანიციისაგან.

გამოცხადებულ იქმნა უმაღლესათ დამტკიცებული კანონები შესახებ ეპარქიალურ სარევიზიო კომიტეტებისა. კომიტეტებს ევალებათ ეპარქიაში თვალყური ადევნონ სასულიერო უწყების დაწესებულებლებათა ქონების და ფულის შენახვას და მათ ხარჯვას. კომიტეტები შესდგება თავმჯდომარისა და სამი წევრისაგან; კომიტეტის წევრები ინიშნება სასულიერო სასწავლებლიდგან და სხვა ეპარქიის მსახურთაგან, რომლებიც რომელიმე ფულის შემოსავალ გასავალს არ აწარმოებენ. კომიტეტის უფლებას შეადგენს რევიზია: ადგილობრივ სასულიერო სემინარიისა ნივთიერი მხრით, სავაჟებო სასულიერო სასწავლებლებისა რაც შეეხება სინოდის სპეციალურ თანხიდან გადადებულ ფულს, სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლებისა და ეპარქიალურ ქალთა სასწავლებლებისა. კომიტეტის წევრებს ენიშნებათ ჯამაგირი, თავმჯდომარეს 300 მანეთი, ხოლო წევრებს 200 მანეთი სათითაოთ.

კიშინევის ეპისკოპოსს სერაფიმს ბესარაბიის სამღვდელოების თხოვნით უწ. სინოდში პროექტი შეაქვს განსაკუთრებულ ტიპის სასულიერო გიმნაზიის დაარსებისა, რომელშიც უნდა მიიღებოდენ მხოლოდ სამღვდელოების შვილები.

ჩვეულებათ აქვთ ხოლმე ზოგიერთებს ახალის წლის შეხვედრა ღვინით და არაყით სავსე ჭიქებით ხელში; დიდ გმირობად მიაჩნიათ ეს ჩვეულება. ზოგიერთმა მღვდელთმთავრებმა, მორწმუნეთა თხოვნით, ამ ჩვეულებას დაუპირდაპირეს ლოცვა და 31 დეკემბერს ღამის 12 საათზე საახალწლო პარაკლისს გადიხდიან ხოლმე საკრებულო ტაძრებში მრავალმლოცველთა თანადასწრებით. უწმ. სინოდმა ამ დღეებში უქაზებით მისწერა ეპარქიების ყველა მღვდელმთავრებს ხელი შეუწყონ ამ კარგს ჩვეულებას და ლოცვა ვედრებით შეეგებენენ ხოლმე ახალ წელიწადს.

განსვენებულის სარაჯიშვილის ქვრივმა 500 მანეთი შესწირა სიონის საკრებულო ტაძარს, რომელშიც შესრულებული იყო წირვა და ანდერძის აგება მიცვალებულისა.

მალე შესრულდება სამასი წელიწადი, რაც რუსეთში მეფობს რომანოვთა გვარი.

სხვა და სხვა დაწესებულებანი ემზადებიან რითიმე აღნიშნონ ეს დღე. ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარს იღუმენიას ნინოს განუზრახავს აღსანიშნად ამ დიდ მნიშვნელოვანის დღისა გააფართოვოს ტფილისში არსებული მეტოქი (პოდვორიე) მონასტრისა და ააშენოს იქ საავადმყოფო, რომელშიაც მიიღებიან ყველა ეროვნების და სარწმუნოების ავადმყოფნი. საქართველოს ეკზარხოსის ლოცვა კურთხევით უკვე დაარსდა კომიტეტი, რომელიც აგროვებს შემოწირულებებს ამ საგნისთვის. თავმჯდომარე კომიტეტისა ბრძანდება თვით დ. იღუმენია, მის თანაშემწედ კი ბლაღოჩინი ქართლის ეპარქიის მონასტერთა არქიმანდრიტი ანტონი.

თფილისის მართლმადიდებელ ეკლესიებს ემატებათ კიდევ ორი რუსული ეკლესია,—ერთი შენდება განსვენებულის ექსარხოსის ნიკონის სახსოვრად—რიყეზე,—ამ ეკლესიის ასაშენებლათ ფული მთელს რუსეთში გროვდება, და მეორე შენდება ნამესტნიკის მეუღლის ხარჯით ვერაზე „მოსკოვსკაია ბალკა"-ს თავზე.

გამარჯვებაც ზოგჯერ დამარცხებაა.

(პასუხად მ. იერ. ნიკოლაძეს).

გაზეთ „შინაური საქმეების" მკითხველებს უეჭველია ემახსოვნებათ ჩვენი წერილები, ამავე გაზეთის №№ 12 და 13-ში დაბეჭდილი, შესახებ ჩვენებური არჩევნების უკულმართობისა. ამასთანავე ისიც ეცოდინებათ, რომ ჩვენ ამ წერილებში გამოვთქვით უმთავრესად და არსებითად საზოგადო შეხედულება ახლანდელ სამღვდელო და საპრიჩედნიკო კანდიდატების არჩევნებზე. ჩვენი განზრახვა იყო და არის, ეს არჩევნები სასტიკ კონტროლის ქვეშ ხდებოდეს და აქ უზნეო და უპატიოსნო საქციელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარი მოქმედება ჯერ არსად, არც ერთს წოდებაში არ არის შესაწყნარებელი, და მერე ისიც სამღვდელოთა შორის. შეიძლება ამგვარი ფანდებით ამა თუ იმ პირმა გამარჯვება მოიპოვოს, მაგრამ ვაი ამისთანა გამარჯვებას! ეგი დამარცხებაზედაც უარესია ხანდახან. ასე იყო მ. იერ. ნიკოლაძის გამარჯვებაც. ჩვენ მის პიროვნებას შევეხეთ, მხოლოდ შევეხეთ, იმდენათ, რამდენათაც იგი საზოგადოების ხმით დაკავშირებული იყო ამ არჩევნებთან და ჩვენს შეხედულებას ამ საგანზე ასე თუ ისე ამართლებდა. მისი პიროვნების დამცირება ჩვენ სახეშ არც მაშინ გვქონია და არც ახლა გვაქვს.

როგორც სჩანს გაზეთ „შინაური საქმეების" № 16, იგი განაწყენებულა და ცოტა შეურაცხყოფილად გრძნობს თავს. მამა ნიკოლაძე ხსენებულ ნომერში გამოგვეკამათა და, როგორც მოსალოდნელი იყო გამარჯვებულისაგან მედიდურათ ჭკუას გვასწავლის მეცა და პატივცემულ რედაქტორს და ზრდილობაზე ლექციას გვიკითხავს. თან გვემუქრება კიდეც. მე პირადად მისი მუქარისა არ მეშინია და, ვგონებ, არც მამა რედაქტორი უნდა გრძნობდეს თავს ისე სუსტად, რომ მის მუქარას გაექცეს. ხოლო რაც შეეხება ჭკუის დარიგებას, უმჯობესია ეს თავისთვის შეინახოს. შეიძლება როდისმე თვითონვე გამოადგეს.

მისი პასუხით კი საქმე ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორც დასაწყისში იყო. იგი ისევ ნისლითა და ბურუსით არის მოცული და ოდნავაც არ ირკვევა. პირიქით, საზოგადოება ისევ უფრო მეტ ეჭვში შედის. მაგრამ მამა ი. ნიკოლაძე ამას ვერ გრძნობს, თუ არ უნდა იგრძნოს, და აჩქარებით თავს იმით მართლულობს, რომ მას ბრწყინვალე „წარსული ნამსახურობა და აწმყო მდგომარეობა" აქვს, რომ მას „სადაც კი უმსახურია, მხოლოდ სიყვარული და სათნოება დაუმსახურებია".

„ამისი დასამტკიცებელი საბუთი ისაა, რიხიანათ ბრძანებს მამა ნიკოლაძე, რომ ჩემმა მრევლმა გაიგო, თუ არა, რომ მე გადავდივარ და ქუთაისში ერთმა მრევლმა უკვე ამირჩია, მაშინვე დაამზადა თხოვნა და მღვდელ-

მთავართან წამოვიდა, რომ ეთხოვა ჩემი მათ მრევლში დატოვება, მაგრამ (დახეთ უბედურებას!) ბლაღოჩინმა დუგლაძემ დაარწმუნა ისინი, რომ საქმისათვის ასე სჯობდა და ისინიც დაბრუნდნენ"(?!) როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს მრევლის თავის გამოდება, ქუთაისში გამომგზავრება ინაშოურიდან და ისევ უკან დაბრუნება? ნეტარ-არიან მორწმუნენი მაგრამ ჩვენ როგორლაც ეს „დამამტკიცებელი საბუთი" უსაბუთოდ მიგვაჩნია და მის სინამდვილეში ეჭვი შეგვაქვს. ჯერ ერთი რომ, თუ ინაშოურის მრევლმა მართლა ინება თხოვნის მირთმევა მღვდელმთავართან და თავისი მოძღვრის უკანვე დაბრუნება, იგი უეჭველია კიდეც მიაგნებდა ადგილობით მღვდელმთავარს და ბლაღოჩინს დუგლაძეს სრულებით არ შეაწუხებდა. ან რა საჭირო იყო ქუთაისის ბლაღოჩინის ამ საქმეში ჩარევა?! თუ ეს ნამდვილი და გულწრფელი განზრახვა იყო მრევლის მხრით, ჩვენის ფიქრით, იგი თავის ადგილობით ბლაღოჩინს უფრო შეეკითხებოდა ამ შემთხვევაში, ვიდრე ქუთაისის ბლაღოჩინს, თუმცა საჭიროება არც ერთს მოითხოვდა და არც მეორეს. მრევლი თავის გზას უეჭველად გაიგნებდა. მაგრამ აქ ვილაცის მზრუნველი და ხელმძღვანელი ხელი ამოქმედებდა მრევლს და ისიც შემცდარა, რომ მღვდელმთავრამდი არ მისულა. განა უმჯობესი არ იქნებოდა, ყველაფერი მღვდელმთავარს შეეტყო? განა უფრო მეტ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა და თავის მიზანს სავსებით შეასრულებდა ეს მრევლის მოგზაურობა ინაშოურიდან ქუთაისამდე?! დიახ, ჩვენ გვგონია, შემცდარია მამა ბლაღოჩინი დუგლაძე, რომ მრევლი გზიდან აუცდენია, რაღაცაში დაურწმუნებია ისინი და უკანვე დაუბრუნებია.

ასეა თუ ისე, ჩვენ ისეთი გულუბრყვილო არა ვართ, რომ ამ გვარ ლათაიებს ვენდოთ და მრევლის მოქმედება ამ შემთხვევაში გულწრფელად ჩავთვალოთ. აქ ერთგვარი იმერული ფანდი იყო მამა ნიკოლაძის მხრით თავის სახელის გასაკეთებლად და საქმის მოსაკვარაჰინებლად, მას უნდოდა ამით შეძენილ კენჭებთან ერთად მეტი უპირატესობა ჰქონოდა სხვა კანდიდატების წინაშე, მაგრამ ეს ალბათ საჭიროც აღარ შეიქნა. დიახ, ეს ერთგვარი იმერული ხრიკი იყო იმ ხშების გასაბათილებლად, რომელნიც დიდი ხანია ქუთაისის საზოგადოებას აღელვებდა და ალბად მამა ნიკოლაძემდინაც აღწევდა. თადარიგი, რა თქმა უნდა, ყოველ საქმეში კარგია და აქაც კარგი გამოდგა. მამა ნიკოლაძეს ამით მეტი ფასი და იერი მოემატა და სხვა მისთვის არც საჭირო იყო, ვწუხვართ კი, რომ თხოვნა თავის გზას ასცდენია, თუ ძალად აუცდენიათ!

არც ის არის დასაჯერებელი, რომ ვითომც მ. ი. ნიკოლაძემ მღვდლობის ადგილი ქუთაისში კაი ნაცნობობით მიიღო. აი რას ბძანებს იგი ამის შესახებ: „მე მასწავლებლობა გავატარე ამ ეკლესიის სამრევლო სკოლაში, (მ) თავარ დიაკვნათაც იქვე ვმსახურობდი რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს მრევლი მე მიცნობდა, იცნობდა ჩემს ზნეს, ხასიათს, მიმართულებას და აბა რა გასაკვირველია, რომ უცნობთ მე, ნაცნობი, მირჩიეს. ნუ თუ ეს მატივი არ არის ამომრჩეველთათვის?"

დიახაც რომ მოტივია და კაი მოტივიც თქვენმა მზემ, მაგრამ განა მარტო ამ ნაცნობობით გათავდა საქმე?! თქმა ყველაფრის შეიძლება, რადგან ენას ძვალი არა აქვს, მაგრამ ენას სინიდისი უდებს საზღვარს. თქვენც როცა ლაპარაკობთ, სინიდისს დაეკითხეთ ხოლმე, თორემ ისე ლითონი სიტყვები მე რომ დავიჯერო, განა სხვა კი არ დაიჯერებს, ვინც ამბავი იცის? არა შგონია და არც არავისა სჯერა ეგ თქვენი ნაცნობობა და მეგობრობა, რაც გამოაშკარავდება კიდეც თავისს დროზე.

არ სჯერათ, მამაო, ეგ თქვენი დარწმუნება, რადგან ბევრს ჯერ კიდევ კარგათ ახსოვს თქვენი ამ ეკლესიაზე მთავრად კურთხევის ისტორია და მასთან კარგად იცნობენ, რა ფასისაც არის ეგ თქვენ მიერ ქებული ზნე-ხასიათი და მიმართულება. მაშ ეს ასე არ არის?! თუ ასე არ იყო, რად დაგჭირდათ მიგემართათ ზოგიერთ არა საკადრის საქციელისათვის? თუ მარტო ნაცნობობა კმარიყო, რათ შეუდექით

წინასწარ სამზადისს წლისა და ნახევრით ადრე? რატომ აწერინებდით ხელს ყალბ განჩინებაზე და ამით მრევლს თქვენკენ იბირებდით წინდაწინ და შეცდომაში შეგყავდათ?! განა ამის უარის ყოფა შეიძლება? ბოლოს მაინც როცა კენჭის ყრის დრო მოახლოვდა, ყველაფერი გამოაშკარავდა. გამოაშკარავდა რომ არც ისე კაი და მტკიცე მეგობრობა და ნაცნობობა გქონდათ მრევლთა შორის, როგორც გეგონათ. მაშინ კი თქვენ და თქვენმა აგენტებმა სხვა ხერხს მიმართეთ მეკენჭეების გადასაბირებლათ და გაიმარჯვეთ კიდეც. ღვინო და პური ახარებს გულსაკაცისასაო, ნათქვამია და ეს თქმულობა სავსებით გამართლდა იმ არჩევნების დროს, დიახ, მხოლოდ ამით აიხსნება თქვენი გამარჯვება, რაც ყველას აღელვებს, და მე როგორც გაზეთის თანამშრომელს უფლება მქონდა ეს გარემოება გაკვრით აღმენიშნა გაზეთის ფურცლებზე. თქვენ კი რაღაც ეტიკაზე ლაპარაკობთ და ყველაფერი ცილის წამებად და ჭორებად მიგაჩნიათ. ამისათვის მემუქრებით კიდეც. იყავ ნება თქვენი. მაგრამ იცოდეთ, რომ გამარჯვებაც ყოველთვის ნამდვილი გამარჯვება არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში იგი დამარცხებაზე უარესია, რადგან გამარჯვებას ყოველთვის ხეოობრივი საშუალებები უნდა უმშვენებდენ მხარს თუ გამოტყდებით თქვენ დამარცხებულთა შორის უფრო ჩაითვლებით, ვიდრე გამარჯვებულთა შორის. სხვა თქვენს ადგილზე ასეთადაც ჩარიცხავდა თავისს თავს და, სამღვდელოების პატივსაცემად, შეინანებდა და ბოდიშს მოიხდიდა საზოგადოების წინაშე. მით უმეტეს, რომ თქვენ ამ ჟამად მაგრად დგახართ თქვენს ადგილზე და საფრხე არ საიდან მოგელით. მაგრამ, როგორც ვხედავ, თქვენში ამოდენა მოქალაქობრივი გამბედაობა არ ყოფილა! ჰირ-იქით თქვენ ცდილობთ საქმე მიაფუჩეჩოთ, რომ საზოგადოებამ მისი ასავალ-დასავლის არაფერი იცოდეს. ამას ისიც მოწმობს, რომ თქვენ საქმეს უფრო იქითკენ ეზიდებით, საიდგანაც გამორკვევა მოუხერხებელია და შეუძლებელი ღღევანდელ პირობებში.

„სად გაგონილაო, ბძანებთ თქვენ, რომ ბრალდებულმა დაამტკიცოს რომ ამდენი „რომ"-იც აღარ გამიგონია!) ის დანაშაური (თუ დამნაშავე?) არ არის, ბრალდებულს შეუძლია სულ გაჩუმდეს". გაჩუმება რა თქმა უნდა, ადვილია და ხელსაყრელიც, მაგრამ იცოდეთ, რომ გაჩუმება თანხმობის ნიშნად არის მიჩნეული. ამასთანავე უეჭველია ისიც გაგონილი გექნებათ, რომ სასამართლოში ყველაზე უწინ ბრალდებულს შეეკითხებიან და თავის გ სამართლებელ საბუთებს მოსთხოვენ. ბრალდებულიც ან გამოტყდება და შეინანებს და მაშინ სასჯელიც უმსუბუქდება, ან და თავისს გასამართლებელს საბუთებს წარმოუდგენს სასამართლოს. ხოლო თუ გაჯიუტდა და არაფერი სთქვა, ეს სახეში აქვთ მოსამართლეებს სასჯელის გადაწყვეტის დროს. ამის შესახებ კანონმდებლობაში ცალკე მუხლებიც კი არსებობენ, ხოლო თქვენ კი ამას ისე ბძანებთ, თითქოს ახალი ამერიკა აღმოგეჩინოსთ. ესეც თქვენი ნებაა. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი უარ ჰყოთ და თქვენი თავი უმანკოთ დასახოთ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ერთი ძველებური თქმულება: „ვინც იცის, ხომ იცის, ვინც არა და ცერცვი ჰგონიაო".

ამით ვათავებ ამ ჟამად თქვენთან პასუხს და სანამ არ გამოირკვევა გადაჭრით, რა გზით გაირჩეს საქმე და ვის მიენდოს მისი გამოძიება, ჯერ-ჯერობით ფაქტების დასახელებაზე უარს ვამბობ. უარს ვამბობ არა იმიტომ, რომ ვითომც სიმართლეს გაურბოდე, არამედ ცოტა დაბრკოლებას ვხედავ ერთ გარემოებაში და რომ წყლის ნაყვა არ გამოვიდეს, სჯობს ცოტა მოთმინება იქონიოთ. აქ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე მხოლოდ სამედიატორო სასამართლოს თანხმა ვარ, თუმცა მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი იმედი მაქვს მისი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მას უფრო მეტათ ვენდობი.

1911 წ. 6 ივლისს.

Fanius.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჯედლიძე,
გამომცემელი იოსეფ ლეონავა.